სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

იბა „სააკაძე 2007“-ის თავმჯდომარის,
გიცი სეთურიძის (პ.ნ. 01024002509)
მის: თბილისი, კოსტავას ქ. 80-82/2, საბურთალოს 4,6, ბ. N2-33
ტელ: 599 79 41 11

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩის N80-82/2-ში, საბურთალოს ქუჩის N4-სა და N6-ში, თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ს/კ: N01.10.13.028.037, მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 22 სექტემბრიდან 2019 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით. ზემოაღნიშნული ბრძანებით ასევე დაგვევალა 2014 წლის 13 ივნისის #1314772 ბრძანების გაცემიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში (2017 წლის 22 დეკემბრამდე) უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროექტით გათვალისწინებული ბინების რაოდენობის შესაბამისად, ალტერნატიულ ახლო მდებარე ადგილას პარკინგების მოწყობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით.

2017 წლის 8 ნოემბერს არქიტექტურის სამსახურში წარვადგინე NAR1555793 განცხადება და მოვითხოვე ამავე სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ პარკინგების მოწყობის ვადის გაგრძელება 2017 წლის 22 დეკემბრის ნაცვლად 2019 წლის 22 სექტემბრამდე. არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის N3710984 გადაწყვეტილებით უარი მეთქვა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც 2017 წლის 18 დეკემბერს #19/0117352788-01 ადმინისტრაციული საჩივრით გავასაჩივრე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 თებერვლის #50 ბრძანებით დაკმაყოფილდა ჩემი ადმინისტრაციული საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის #3710984 გადაწყვეტილება და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოიცა გადაწყვეტილება N3972831 (განცხადების ნომერი NAR1580844), რომლითაც შევიდა ცვლილება სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის N2199621 ბრძანებაში და პარკინგების მოწყობის ვადა გამიგრძელდა 2019 წლის 22 სექტემბრამდე. ამავე ბრძანებიუთ დამევალა მოწყობილი პარკინგების მერიისთვის გადაცემა. აღნიშნული პირობა ჩემთვის არის მიუღებელი, რის გამოც, იგი გასაჩივრებული მაქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან ადმინისტრაციული საჩივრით, თუმცა დღემდე საჩვართან დაკავშირეიბით გადაწყვეტილება არ მიმიღია.

ამდენად, აღნიშნულ ვადაში პარკინგის მოწყობა ვერ მოხერხდა, რასაც აქვს ობიექტური, ზემოთ აღნიშნული მიზეზები. შესაბამისად, გთხოვთ, აღნიშნული ვადა გაგვიგრძელოთ 6 თვით, რათა შევძლოთ ნაკისრ ვალდებულების შესრულებისათვის კონკრეტული ქმედებების განხორციელება.

პატივისცემით,
გივი სეთურიძე